თ.ს.უ. არქეოლოგიის ინსტიტუტი

ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიცია.

გიორგი რჩეულიშვილი. თენგიზ ესებუა

2013 წლის 20 ივნისიდან 10 ივლისამდე ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში.

დავიწყეთ სადაზზვერვო თხრილების გაჭრა N20 უბანზე. გავიარეთ დაახლოვებით 50მ. სიგანისა და 200მ. სიგრძის მონაკვეთი მდ. აბულმუგის მარცხენა მხარეს. ეს არის უტყეო, ბალახით დაფარული ფერდობი, რომელიც თავის დროზე ალბათ სახნავ-სათესსა და სავარგულს წარმოადგენდა. გავჭერით 150 თხრილი 2x3 მ. ზომისა. ზოგ თხრილში 0.5 – 0.6 მ. სიღრმეზე ჩავედით, ზოგში კი 0.20 მ-ზე. ყველგან დადასტურდა ყამირი გრუნტი ყოველგვარი არქეოლოგიური არტეფაქტისა, თუ კულტურული ფენის გარეშე. სრულიად აშკარაა, რომ ამ ტერიტორიაზე არავითარი კულტურული ძეგლი არ არის და თავისუფლად შეიძლება გადავცეთ დამკვეთებს.

შემდეგ მოდის ტყით დაფარული ხელოვნური ტერასა ზომით 100x40 მ-ზე, სადაც შეიმჩნევა დაუმუშავებელი ქვით მშრალად ნაგები კედლების ნაშთები (ეს არის ფაცხების აღმ-ით მდებარე ტერიტორია). გავჭერით ორი სადაზვერვო თხრილი (2 მ. X3 მ. და 2 მ. X 5 მ). პირველის თხრილის, დასავლეთ ნაწილში, გამოვლინდა დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებით მშრალად ნაგები 1 მ. სიგანის კედელი, რომელიც დას-დან ზღუდავს ამ ტერასას. კედელი მიმართულია სამხრეთიდან ჩრდ-სკენ და ებჯინება ფერდობს. თხრის დროს ჩნდებოდა გვიანი შუასაუკუნეების თიხის ჭურჭლის (ჯამი, ქილა, ხელადა) ფრაგმენტები. კულტურული ფენა, ან რაიმე მნიშვნელოვანი არტეფაქტი არ დადასტურდა. შესაძლოა, ამ ტერასაზე რაიმე სამეურნეო ნაგებობა ფუნქციონირებდა, რომელიც დროთა განმავლობაში განადგურდა. დღეისათვის აქ მატერიალური კულტურის რაიმე მნიშვნელოვანი ნაშთი არ დასტურდება.

გადავინაცვლეთ ზემოხსენებული ტერასიდან აღმ-ით 35-40 მ. -ის დაშორებით, სადაც ფერდობში ჩაღრმავებული ადგილი იქცევს ყურადღებას. სავარაუდოდ აქ მოზრდილი (დაახლ. 7 მ. X 8 მ) სათავსოს ნაშთი უნდა იყოს. დავიწყეთ თხრა სავარაუდო სათავსოს სამხრეთ ბოლოდან მთელ სიგანეზე (7 მ.). მართლაც, ცოტაოდენი მუშაობის შემდეგ გამოვლინდა სათავსოს აღმ. და დას. (გვერდითი) კედლების ნაშთები (სამხრ. ბოლოები). განვგრძეთ თხრა სათავსოს მთელ სიგანეზე, ისე, რომ თან ვაჩენდით გვერდით კედლებს. ეს კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომის დაუმუშავებელი ქვებით ტალახზე. ოთხი დღის მუშაობის შემდეგ მივაღწიეთ ზურგის კედლამდე, რომელიც მთლიანად ჩამჯდარია მიწაში. სამივე კედელი მიწის ჭრილის ქანობის აყოლებითაა ნაგები ქვის ცალპირი წყობით. ვთხრიდით იმ ანგარიშით, რომ არ გამოგვეჩინა იატაკის დონე. სავარაუდოთ, იატაკის დონემდე 0.4 – 0.5 მ. სისქის ჩაქცეული მიწისა და ქვა-ღორღის ფენაა ასაღები. თხრის დროს ჩნდებოდა გვიანი შუასაუკუნეების (XVIII ს.?) თიხის ჭურჭელი, ფრაგმენტები და ხარის რკინის ნალები. გვერდითი კედლების გასწვრივ გამოვლინდა დამწვარი ლაქები და ნაცარი. უკანა (ზურგის) კედელი დაფუძნებულია კლდის ბუნებრივ მასივზე. აქვე დადასტურდა ხის ძელების დამწვარი ნაშთები ჯერ-ჯერობით გაურკვეველია ამ სათავსოს დანიშნულება. აუცილებელია თხრის დასრულება. გავავლეთ სადაზვერვო ჭრილი ზემოაღწერილი სათავსოს აღმ-ით 4მ. მოშორებით (ზომა 1.5 მ X4 მ.). თხრილი მიმართულია სამხრ - ჩრდ-ზე. ჩავედით 1.5 მ. სიღრმეზე, სადაც გამოვლინდა ურავი ყამირის ფენა. თხრილში ამოდიოდა ნაძრავი მიწა, რომელშიც ჩნდებოდა გვიანი შუასაუკუნეების კერამიკული ფრაგმენტები (წითელკეციანი დოქის, ხელადის, ჯამის; შავკეციანი

ქოთნების). კულტურული ფენა არ დადასტურდა. როგორც ჩანს, ეს მასალა ფერდობის ზემო ნაწილიდანაა დაცურებული.

ამ თხრილიდან ს/აღმ-ით, 20-25 მ. - ის მოშორებით, შეიმჩნევა მცირე ზომის (3X4 მ.) სათავსოთა ნაშთების მწკრივი. მოსჩანს მშრალად ნაგები ქვის კედლების ნაშთები. დავიწყეთ ერთი მათგანის ამოწმენდა. გამოვაჩინეთ ჩრდ. კედელი, ამოდის ქვა - ღორღი, ჩაქცეული კედლების ნაშთები. ჩნდება გვიანი შუასაუკუნეების კერამიკის უმნიშვნელო ფრაგმენტები. კულტურული ფენა არ დადასტურდა. სათავსოთა დანიშნულება გაურკვეველია. აუცილებელია ამ სათავსოთა ნაშთების გამოვლენა - შესწავლა მათი ფუნქცია - დანიშნულების გარკვევის მიზნით.

განვაგრძეთ მუშაობა ახალ უბანზე რომელიც, XXIV, XXV, XXXI და XXXII უბნების გადაკვეთის არეალშია მოქცეული. ეს არის დიდი სამკუთხედი ფორმის ტერიტორია აბულმუგის ხეობის მარცხენა ფერდობზე. ეს ფერდობი ქვემოთ ტყიანია, ხოლო ზემოთ კლდოვანი და შვეული. რამდენიმე ადგილზე ოქროს მომპოვებლებს ბულდოზერებით გზები გაუყვანიათ, რის შედეგადაც ფაქტიურად სადაზვერვო ჭრილებია გაკეთებული. ამ ჭრილების დათვალიერებამ დაგვარწმუნა, რომ დიდი ნაწილი დასაზვერი ტერიტორიისა არ შეიცავს რაიმე კულტურულ ნაშთებს. დანარჩენი ფართობი დავზვერეთ პატარ-პატარა (2X1 მ; 1X1მ; 2X3 მ;) თხრილებით, რამაც არაფერი საყურადღებო არ გამოავლინა. XXXII უბნის ჩრდილოეთ ნაწილში, საკმაოდ ფართო ბუნებრივ ტერასაზე აშკარად ჩანს მატერიალური ძეგლების ნაშთები. უპირველეს ყოვლისა, ეს არის გვიანი შუასაუკუნეების ქვითკირით ნაგები აბანო და სათავსოთა ნაშთები მის ირგვლივ სამ მხარეს 20 – 30 მ-ის მოშორებით.

აბანო თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი. იგი ჩადგმულია ფერდობში ჩაჭრილ ქვაბულში. შედგება სამი განყოფილებისაგან. მათგან აღმ. განყოფილება გასახდელი უნდა იყოს, რომელსაც ერთი კარი (შესასვლელი) აღმ. კედლის სამხრეთ ბოლოში აქვს, მეორ კი დას-ით, ფაქტიურად ძირითადი ნაწილის დას. კედელში „გასახდელი“ მიშენებულია აბანოს ძირითად ნაწილზე, რომელიც გუმბათიანი ნაგებობაა და „გრილ“ აბანოს უნდა წარმოადგენდეს. მას ჰქონია დუღაბით მოლესილი ქვითკირის იატაკი, რომელის ქვეშ დაახლოვებით 0.4-0.5 მ. სიმაღლის სიცარიელეა, რომელშიც შემოდის აბანოს კომპლექსის დას. ნაწილში „ცხელი აბაზანის“ ქვეშ გამართული საცეცხლური. აქედან შემოსული ცეცხლი ახურებდა არა მარტო „ცხელ აბაზანას“, არამედ გრილი აბანოს იატაკსაც, ხოლო კვამლი გადიოდა „გრილი აბანოს“ ს/აღმ. და ჩრდ/აღმ. კუთხეებში შვეულად ამავალ საკვამლე ხვრელებში. წყალი შემოდიოდა თიხის მილებით „ცხელ აუზში“ და „გრილ აბანოში.“ გავჭერით სადაზვერვო თხრილი შემავალი მილების პირდაპირ, მაგრამ ვერაფერი ვერ ვნახეთ, გარდა უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი თიხის მილების ფრაგმენტებისა. გაურკვეველია, რამ დააზიანა ეს სისტემა. აუცილებელია ძიების გაგრძელება, რათა დადგინდეს აბანოს წყალმომარაგების სისტემა. აშკარაა, რომ სიახლოვეს არსად არაა წყალი. რჩება ერთი ვარიანტი. წყალი უნდა წამოეყვანათ მდ. აბულმუგის ზემო წელიდან ღია არხით, ან თიხის მილებით. სხვა შესაძლებლობა არ ჩანს.

მივაკვლიეთ გრილი აბანოდან წყლის გადინების სისტემას. აღმ. კედლის სამხრეთ ნაწილში, იატაკის დონეზე, არის ხვრელი, რომლის გავლითაც ზედმეტი წყალი გადიოდა გასახდელში, ხოლო იქიდან ს/დას. კუთხეში არსებული ხვრელით გარეთ, სადაც დადასტურდა ქვებით მოპირკეთებული ვიწრო არხის ნაშთი, მიმართული ხეობისაკენ.

საქართველოს ტერიტორიაზე გვიანი შუასაუკუნეების აბანოები გამოვლენილია გრემის ნაქალაქარზე (ლ. ჭილაშვილი, კახეთის ქალაქები, თბ. 1980. გვ. 56, 98; პ. ზაქარია, ნაქალქარი გრემის არქიტექტურა, თბ. 1975. გვ 82, 104), თბილისში, თელავში, რუსთავის ნაქალაქარზე (ალ. მამულაშვილი, კახეთის ძველი აბანოები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბზე, XIV –B, თბ. 1947, გვ. 167-174; რ. გვერდწითელ, როსტომ მეფის სასახლის აბანო, „ძეგლის მეგობარი“, თბ. 1964, N2, გვ. 11-14).

აბანოდან ს/აღმ - ით, ს/დას - ით და ჩრდ - ით 20 – 30 მ. დაშორებით არის სამი ნაგებობის ნაშთი. დავიწყეთ მათი შესწავლა. პირველ მათგანზე გამოვლინდა მოზრდილი სათავსო, რომლის

კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ქვით ტალახზე. ამ სათავსოს ს/დას. კუთხეში დადასტურდა თიხის მოზრდილი დერგის ნამსხვრევები ძირით ჩადგმული მიწურ იატაკში. დას. კედლის შუა ნაწილთან ნაცრის გროვაა (კერა?). თხრის დროს ჩნდება გვიანი შუასაუკუნეების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

მსგავსი სურათია მეორე ნამოსახლარზე, სადაც იწმინდება კედლებჩაქცეული სათავსო. მართალია, აქ კედლების ნაშთები ჯერ არ გამოვლენილა, მაგრამ აშკარად იკვეთება ფერდობში ჩაჭრილი ქვაბული, ამოვსებული ჩაქცეული ქვაღორღით, რომელშიც ჩნდება გვიანი შუასაუკუნეების კერამიკის ნაშთები. შესაძლოა, ეს ნაგებობები აბანოს სინქრონულია და მასთანაა დაკავშირებული.

მესამე ნამოსახლარი მდებარეობს აბანოდან ჩ/დას-ით 30მ. მოშორებით ტყეში. აქ შეიმჩნევა მოზრდილი (9X9 მ) ქვაბული, რომელიც სამხრეთიდან დიდი ზომის ლოდებით ნაგები კედლით ყოფილა შემოზღუდული. ჯერ-ჯერობით გავწმინდეთ ამ კედლის ნაშთი მასზე ამოსული ხეებისაგან. აუცილებელია ამ ძეგლის მთლიანად შესწავლა მისი დანიშნულების დადგენის მიზნით. საყურადღებოა, რომ მისგან აღმ-ით და დას-ით შეიმჩნევა მსგავსი ნაგებობების ნაშთები. ჯერ-ჯერობით არქეოლოგიური მასალა არ გვაქვს, თუმცა ეს ნაგებობები აშკარად არქაულ ელფერს ამჟღავნებს.

გავაგრძელეთ სადაზვერვო თხრილების გავლება აბანოს აღმ-ით ურტყეო ფერდობზე. აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია დაუმუშავებელი ლოდების მწკრივმა, რომელიც კედლის ნაშთი უნდა იყოს. აქ აღმოჩნდა განვითარებული შუასაუკუნეების მინის სამაჯურისა და მოჭიქული ჯამის კიდის ფრაგმენტები, თუმცა კულტურული ფენა არ დაფიქსირებულა. როგორც ჩანს, დროთა განმავლობასი ჩამოირეცხა.

გარდა აღნიშნული სამუშაოსი, სხვადასხვა ზომის თხრილებით დავზვერეთ ამ არქეოლოგიური ნაშთების ირგვლივ ტერიტორია, სადაც საყურადღებო არაფერი გამოვლენილა.

აუცილებელია ზემოთხსენებული ძეგლების სრული არქეოლოგიური გამოკვლევა.

<u>გ.რჩეულიშვილი</u>

<u>14. 07. 2013</u>